F 133
1937

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. დეკემბრის 25 № 21 თბილისი.

F 1937

## შინაარსი

**სახელმწიფო მმართველობა.**

**153.** სასოფლო აღმასრულებელთა შესახებ.

**კომუნალური და საბინაო მეურნეობა.**

**154.** საქალაქო საბჭოებისა და რაიაღმასკომების საბინაო სამმართველოთა ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ.

ტიპიური დებულება საქალაქო საბჭოებისა და რაიაღმასკომების საბინაო სამმართველოთა შესახებ.

**155.** საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საბინაო მეურნეობის მთავარ სამმართველოს შესახებ.

**156.** მუშურ-გლეხური მილიციის თავმდგომთა შედგენილობის იმ პირთა საბინაო ჭირის განაკვეთების შესახებ, რომლებმაც სპეციალური სახელწოდება მიიღეს.

**ფინანსები.**

**157.** სოფლის აღმასრულებლად ყოფნის უფლების არმქონე პირთა განსაკუთრებული გამოსაღების გაუქმებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმწიფო მმართველობა

## 153. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

### სასოფლო აღმასრულებელთა შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 23 ნოემბრის დირექტივისა (ოქმი № 19, მუხ. 10), სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 4 ნოემბრის № 114/1985 დადგენილებისა „სასოფლო აღმასრულებელთა მოვალეობის შესრულებისაგან ზოგიერთი კატეგორიის პირთა განთავისუფლების შესახებ“ და სსრ კავშირის სახლხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 25 იანვრის № 128 დადგენილებისა „იმ პირთა განსაკუთრებული გამოსაღების გაუქმების შესახებ, ვინც არ შეიძლება დაინიშნოს სასოფლო აღმასრულებლად“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. რევოლუციური წესრიგის, საზოგადოებრივი უშიშროების და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის გაძლიერების მიზნით, სასოფლო საბჭოების დადგენლებებით რიგ-რიგობით დაინიშნებიან სასოფლო აღმასრულებლები დასახლებული პუნქტის მუდმივ მცხოვრებთა რიცხვიდან შემდეგი ნორმით:

ა) იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც სასოფლო საბჭოა, -ერთი სასოფლო აღმასრულებელი მოსახლეობის 300 კაცზე;

ბ) დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში—ერთი სასოფლო აღმასრულებელი თითო დასახლებულ პუნქტზე.

სასოფლო აღმასრულებლების მოვალეობის შესრულების ვადად წესდება სამი თვე.

2. სასოფლო აღმასრულებლები იმყოფებიან სასოფლო საბჭოებთან.

3. სასოფლო აღმასრულებლებად დაინიშნებიან მამაკაცები ასაკით 18-დან 50 წლამდე და ქალები 18-დან 45 წლამდე, ამასთან სასოფლო აღმასრულებელთა მოვალეობის შესრულება არ უნდა დაეკისროს:

ა) ქალებს მშობიარობამდე 56 დღის განმავლობაში და მშობიარობის შემდეგ 56 დღის განმავლობაში, ხოლო იმ ქალებს, რომლებიც ბავშვს ძუძუს აწოვებენ—ძუძუს წოვების მთელი პერიოდის განმავლობაში;

ბ) ქალებს, რომლებსაც ჰყავთ ბავშვები 8 წლის ასაკამდე, თუ მათ არა ჰყავთ ბავშვების მომვლელი პირი;

გ) იმ პირებს, რომლებსაც ავადმყოფობისა ან დასახიჩრების გამო დროებით დაკარგული აქვთ შრომის უნარი—განკურნებამდე;

დ) იმ პირებს, რომელთა მეურნეობაც დაზარალდა სტიქიური უბედურების (ხანძარი, წყალდიდობა და სხვ.) გამო,—ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანადო სასოფლო საბჭოების გადაწყვეტილებით მათ მიერ დაწესებული ვადების განმავლობაში.

4. სასოფლო აღმასრულებელთა მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლებულია შემდეგი კატეგორიების მოქალაქენი:

ა) მუშები, მოსამსახურეები და კოოპერირებული შინამრეწველები, რომლებიც საერთო საარტელო სახელოსნოებში მუშაობენ, აგრეთვე ამ პირთა ოჯახის წევრები, უკეთუ ამ უკანასკნელებს მოცემულ ადგილას არ აქვთ თავისი მეურნეობა;

ბ) მოსწავლეები;

გ) ინვალიდები.

5. სასოფლო აღმასრულებლებად არ შეიძლება დანიშნულ იქნან ის პირნი, რომლებსაც აქვთ ნასამართლობა, განდევნილ და გადასახლებულნი, აგრეთვე სამართალში მიცემული და გამოძიების ქვეშ მყოფი პირები.

6. კოლმეურნენი ინიშნებიან სასოფლო აღმასრულებლებად იმ კანდიდატთა რიცხვიდან, რომლებსაც დაასახელებენ კოლმეურნეობათა გამგეობები.

სასოფლო აღმასრულებლად კოლმეურნეობათა წევრების დანიშვნის დროს სასოფლო საბჭოები მოვალენი არიან მხედველობაში მიიღონ კოლმეურნეობათა ინტერესები, კერძოდ, აღნიშნული მოვალეობანი არ უნდა დააკისრონ კოლმეურნეობათა ისეთ წევრებს, რომელნიც განაგებენ მეურნეობის ცალკეულ დარგებს, სასაქონლო ფერმების გამგეებსა და ბრიგადირებს.

7. სასოფლო ამასრულებლებს ეკისრებათ მოვალეობა ხელი შეუწყონ სასოფლო საბჭოებსა და მილიციას:

ა) საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე;

ბ) ხულიგნობასთან და სხვა დანაშაულთან ბრძოლაში, კერძოდ, მილიციის ორგანოებისათვის ყველა დანაშაულისა და შემთხვევის შეტყობინების გზით;

გ) სახელმწიფო, საკოლმეურნეო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ქონების დაცვისათვის მეთვალყურეობის გაწევაში;

დ) დაპატიმრებულთა თანგაყოლაში უახლოეს პუნქტამდე, სადაც ისინი შეიძლება გადაეცეს მილიციას, ან თავისუფლების აღკვეთის ადგილამდე;

ე) დასახლებული პუნქტის სახანძრო და სასანიტარო მდგომარეობისათვის მეთვალყურეობის გაწევაში;

ვ) სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღებაში;

ზ) სასამართლოს განაჩენების, გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების აღსრულებაში.

8. სასოფლო აღმასრულებლებისათვის სხვა რაიმე მოვალეობათა დაკისრება გარდა მე-7 მუხლში ჩამოთვლილისა, არ შეიძლება.

9. ის პირები, რომლებიც სასოფლო აღმასრულებელთა მოვალეობას ასრულებენ, ამ მოვალეობათა შესრულების მთელი დროის განმავლობაში განთავისუფლებულ უნდა იქნან სხვა ყოველგვარი ბეგარისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. სასოფლო აღმასრულებლები უშუალოდ ემორჩილებიან სასოფლო საბჭოს და პასუხისმგებელნი არიან მის წინაშე თავისი მუშაობისათვის; რევოლუციური წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის ხაზით მუშაობის შესრულების დროს ისინი ხელმძღვანელობენ მილიციის ორგანოების მითითებებით.

11. სასოფლო აღმასრულებლებისათვის რაიმე მინდობილობის დაკისრებისას, სასოფლო საბჭოს და მილიციის ორგანოებს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ ის მოსაზრება, რომ სასოფლო აღმასრულებელმა ამ მინდობილობის ასრულება მოახერხოს არა სამუშაო დროს.

უკეთუ კოლმეურნეები სასოფლო აღმასრულებლის მოვალეობას სამუშაო დღის განმავლობაში ასრულებენ, ამ მოვალეობის ასრულებაზე დახარჯული დრო მათ ჩაეთვლებათ როგორც მათი ჩვეულებრივი მუშაობა კოლექტიურ მეურნეობაში, და მიერიცხება შრომა-დღეებს.

12. სასოფლო აღმასრულებლები მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების დროს სარგებლობენ თანამდებობის პირთა უფლებებით და ისინი პასუხს აგებენ, როგორც თანამდებობის პირები.

იმ პირებს, რომლებიც სასოფლო აღმასრულებელთა მოვალეობას ასრულებენ, ამ მოვალეობათა შესრულების დროს თან უნდა ჰქონდეთ სასოფლო საბჭოების მიერ გაცემული მოწმობები და დაწესებული ნიმუშის სამკერდე ნიშნები.

13. სასოფლო აღმასრულებლების მოვალეობათა შესრულებისაგან თავის არიდებისათვის დამნაშავენი მიცემულ იქნებიან სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით.

14. ამ დადგენილების გამოცემის შემდეგ უქმდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 15 აპრილის დადგენილება „სასოფლო აღმასრულებელთა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 13, მუხ. 77).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. დეკემბრის 7. № 237/1479.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნალური და საბინაო მეურნეობა

## 154. დადგენილება ს.კ.ს.

**ქალაქო საბჭოებისა და რაიალმასკომების საბინაო სამმართველოთა ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი პროექტი საქალაქო საბჭოებისა და რაიალმასკომების საბინაო სამმართველოთა ტიპიური დებულების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. დეკემბრის 22. № 1500.
თბილისი.

---

## ტიპიური დებულება

**ქალაქო საბჭოებისა და რაიალმასკომების საბინაო სამმართველოთა შესახებ.**

I. ადგილობრივი საბჭოების საბინაო სამმართველოები ეწყობა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 69, მუხ. 314) სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე.

ადგილობრივი საბჭოების საბინაო სამმართველოები ეწყობა საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალურ განყოფილებათა შედგენილობაში.

რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებსაც თავის შედგენილობაში არა აქვთ კომუნალური განყოფილებანი, საბინაო სამმართველოებს აწყობენ თავის განყოფილებათა თანაბარ უფლებებით.

II. საბინაო სამმართველოს ეკისრება:

ა) ადგილობრივი საბჭოს კუთვნილი საბინაო ფონდის უშუალო გამგებლობა;

ბ) ტექნიკური და სანიტარული ზედამხედველობა, აგრეთვე მეთვალყურეობის და კონტროლის გაწევა მთელი დანარჩენი საბინაო ფონდის შენახვისა და რემონტის წარმოებისათვის, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის გამგებლობაში იმყოფება იგი.

III. ამის შესაბამისად საბინაო სამმართველო ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

1. აწყობს სახლმმართველობებს (სახლმმართველობაში შემავალი სახლების შემადგენლობის, რაოდენობის და საზღვრების დაწესება), დანიშნავს, გადაიყვანს და დაითხოვს ადგილობრივი საბჭოს საბინაო ფონდის სახლების (სახლთა ჯგუფების) მმართველებს;

2. ხელმძღვანელობას, ინსტრუქტაჟს და კონტროლს გაუწევს სახლთა მმართველების საქმიანობას; განიხილავს და დაამტკიცებს სახლმმართველობების სამეურნეო-საფინანსო გეგმებს, ხარჯთ-აღრიცხვებსა და შტატებს; დააწესებს სახლმმართველობათა მუშაკების გამომუშავების ნორმებს, შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ადგილობრივ საბჭოს ბინების შინაგან განაწესებს და სხვ.;

3. გაანაწილებს ადგილობრივი საბჭოს კუთვნილ სახლებში თავისუფალ ან საექსპლოატაციოდ ახლად გადაცემულ საცხოვრებელ სადგომებს და გასცემს მათზე ორდერებს; გასცემს მოწმობებს დამატებითი ფართობის სარგებლობის უფლების შესახებ; გასცემს ნებართვებს მოქალაქეთა მიერ საცხოვრებელი ბინების გაცვლის შესახებ და ხელს შეუწყობს გაცვლას, გასცემს მოწმობებს საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნაზე, გასცემს ორდერებს თავისუფალ არასაცხოვრებელ სადგომებზე;

4. სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გრძელვადიანი იჯარით მისცემს ადგილობრივი საბჭოს კუთვნილ სახლებს და კონტროლს გაუწევს მოიჯარადრეთა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას;

5. გრძელვადიანი იჯარით გასცემს ცალკეულ მოქალაქეებზე სახლმფლობელობას საცხოვრებელი ფართობის 60 კვ. მეტრამდე და კონტროლს გაუწევს მოიჯარადრეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას;

6. განიხილავს არსებულ ნაგებობათა გადაკეთების და დაშენების პროექტებს და ამ პროექტებს დასამტკიცებლად წარუდგენს ადგილობრივ საბჭოებს; დასდებს ხელშეკრულებებს დაშენების შესახებ და კონტროლს გაუწევს მის შესრულებას;

7. კონტროლს გაუწევს იმას, რომ არ იქნას დაშვებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სადგომების თვითნებურად გადაკეთება და გასცემს ნებართვებს ყოველგვარი გადაკეთებისა და ხელახალი მოწყობის შესახებ;

8. შეადგენს და დასამტკიცებლად წარადგენს საბინაო, სააგარაკო, სასასტუმრო მეურნეობის და ქალაქის (რაიონული ცენტრის) ტერიტორიაზე საბინაო, სააგარაკო, სასასტუმრო და ადმინისტრატიული მშენებლობის საპერსპექტივო, წლიურ და კვარტალურ გეგმებს, სატიტულო სიებს, აგრეთვე ამ მეურნეობისა და მშენებლობის დაფინანსებისა და დაკრედიტების გეგმებს;

9. შეადგენს და დასამტკიცებლად წარადგენს იმ სამშენებლო მასალებისა და მოწყობილობის საჭიროებისა და განაწილების გეგმებს, რომელთა გამოყოფაც ცენტრალიზებული წესით სწარმოებს, აგრეთვე იმ საშენი მასალე-

ბისა და მოწყობილობის გეგმებს, რომლებსაც ადგილობრივი საბჭოები აწესრიგებენ; ამარაგებს ამ მასალებით, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სათანადო ორგანიზაციების მეშვეობით, ადგილობრივი საბჭოს საბინაო ფონდის სახლებს;

10. განახორციელებს შემკვეთთა უფლებებსა და მოვალეობებს ადგილობრივი საბჭოს ახალი საბინაო, სააგარაკო, სასასტუმრო და ადმინისტრატიული შშენებლობის ხაზით; ხელმძღვანელობას გაუწევს სამშენებლო სამუშაოთა წარმოებას ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადგილობრივი საბჭოს მიერ მშენებლობა სწარმოებს სამეურნეო წესით—ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული ნებართვით;

11. განიხილავს საცხოვრებელი, სააგარაკო, სასასტუმრო და ადმინისტრატიულ შენობათა კაპიტალური მშენებლობის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს, როდესაც ამ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებენ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდუმები;

12. ტექნიკურ მეთვალყურეობას გაუწევს ადგილობრივი საბჭოს საბინაო, სააგარაკო, სასასტუმრო მშენებლობას და ადმინისტრატიული დაწესებულებებისათვის საჭირო შენობების მშენებლობას;

13. კანონით დადგენილი წესით მიიღებს აშენებულ საცხოვრებელ სააგარაკო, სასასტუმრო შენობებს და ადმინისტრატიულ დაწესებულებათა შენობებს და მოაწყობს მათ მართვა-გამგეობას;

14. განახორციელებს უშიშროების ტექნიკის ღონისძიებებს მისდამი დაქვემდებარებულ საბინაო, სააგარაკო და სასასტუმრო მეურნეობაში, სარემონტო სამუშაოებზე და ა. შ.;

15. შეიმუშავებს და განახორციელებს ბინების კეთილმოწყობის, სახლის მეურნეობის გაუმჯობესების ღონისძიებებს (სახლების შეერთება წყალსადენის, კანალიზაციის, ელექტროგანათების, გაზის საქალაქო ქსელებთან, ნაგვის აღება და უტილიზაცია, თოვლდნობა, სახურავებისა და მილების გაწმენდა და ა. შ.), ხელმძღვანელობას გაუწევს სახლებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მოწყობასა და ძუშაობას (სახლის სამრეცხაოები, წითელი კუთხეები, საბავშვო მოედნები);

16. მომქმედი კანონების საფუძველზე შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ადგილობრივ საბჭოს საბინაო ქირის განაკვეთებს, საჯარო ქირის ტარიფებს, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოს სასასტუმრო და სააგარაკო ფონდებში საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის ტარიფებს;

17. ხელმძღვანელობას გაუწევს ადგილობრივი საბჭოს სასასტუმრო და სააგარაკო მეურნეობას; მნიშვნელოვანი სასასტუმრო ან სააგარაკო ფონდის არსებობის შემთხვევებში მოაწყობს სასასტუმრო და სააგარაკო ტრესტებს და მათ მართვა-გამგეობას; საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად წარუდგენს ტრესტების მმართველთა კანდიდატურებს;

18. ხელმძღვანელობას გაუწევს საბუხჰალტერო აღრიცხვის საქმეს საბინაო სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ ყველა ორგანიზაციაში; შეიმუშავებს ინსტრუქციებს საბუხჰალტერო აღრიცხვის წარმოების შესახებ, პირველადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტაციის ფორმებსა და სისტემებს, განიხილავს და დაამტკიცებს ყველა სახლმმართველობისა და საბინაო სამმართველოსადმი დაქვემდებარებული მთელი საბინაო მეურნეობის ნაერთ ანგარიშებს, აგრეთვე ანგარიშებს საბინაო მეურნეობის განვითარებისა და მდგომარეობის და ქალაქის (რაიონული ცენტრის) ტერიტორიაზე ყველა საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების და პირთა საბინაო მეურნეობის მშენებლობის მდგომარეობისა და განვითარების შესახებ და ამ ანგარიშებს წარუდგენს, როგორც საქალაქო საბჭოს, ისე საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საბინაო მეურნეობის მთავარ სამმართველოს; კონტროლს გაუწევს, რათა სახლთმმართველობებმა და საბინაო სამმართველოსადმი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა დაიცვან ხარჯთაღრიცხვის საბიუჯეტო და საფინანსო დისციპლინა;

19. განახორციელებს საბინაო მეურნეობის სტატისტიკურ აღრიცხვას, პასპორტიზაციას, გამოარკვევს საბინაო მეურნეობის მდგომარეობასა და მოძრაობას, ჩაატარებს ადგილობრივი საბჭოს გამგებლობაში არსებული მთელი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფონდის ინვენტარიზაციას;

20. აწარმოებს საბინაო სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ მეურნეობებში მომუშავე კადრების აღრიცხვას, განაწილებასა და მომზადებას;

21. მოაწყობს სანარდო-სარემონტო კონტორებს სამეურნეო ანგარიშზე, სახლების რემონტისა და ოთახების შიდა რემონტისათვის, სარემონტო სახელოსნოებს, სატრანსპორტო და მომმარაგებელ კონტორებს, სახლების რემონტისათვის საჭირო ადგილობრივი საშენი მასალისა და წვრილი მოწყობილობის დამამზადებელ და დამმუშავებელ დამხმარე საწარმოებს; დანიშნავს ამ ორგანიზაციების უფროსებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ საქმიანობას;

22. კონტროლს გაუწევს და მოაწესრიგებს საბინაო-სამშენებლო და საგარაკო-სამშენებლო კოოპერატივების მუშაობას;

23. მოაწესრიგებს ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას და კონტროლს გაუწევს ცალკეულ მოქალაქეთა კუთვნილი საცხოვრებელი სახლების შენახვას, რემონტსა და სწორად გამოყენებას;

24. ტექნიკურ და სანიტარულ ზედამხედველობას, აგრეთვე მეთვალყურეობასა და კონტროლს გაუწევს მთელი საცხოვრებელი ფონდის შენახვასა და რემონტს, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის გამგებლობაში იმყოფება იგი;

25. კონტროლს გაუწევს, რათა მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დაცულ იქნას მომქმედი კანონები, დადგენილებანი და განკარგულებანი საბინაო ძეურნეობის შესახებ.

IV. 1. საბინაო სამმართველოს უფროსს დანიშნავს საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

2. საბინაო სამმართველოს უფროსს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება საბინაო მეურნეობის გაძღოლისათვის, როგორც საქალაქო საბჭოს (რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის) პრეზიდიუმის წინაშე, ისე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 155. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი პროექტი—საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველოს დებულების შესახებ. (იხ. დანართი).

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომთან არსებულ საშტატო კომისიას განიხილოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველოს შტატები და სტრუქტურა და 5 დღის ვადაში წარმოუდგინოს საქ. სსრ სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. ჭელიძე.

1937 დეკემბრის 22. № 1499.
თბილისი.

---

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საბინაო მეურნეობის მთავარ სამმართველოს შესახებ.**

I. საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველო ეწყობა საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში, „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 69, მუხ. 314) სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე.

II. საბინაო მეურნეობის მთავარ სამმართველოს ეკისრება:

1) ადგილობრივი საბჭოების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის საბინაო სამმართველოების მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, აგრეთვე პრაქტიკული ინსტრუქტაჟი ადგილებზე საბინაო მეურნეობის მმართველობის ორგანიზაციის საკითხების გამო;

2) საბინაო, სააგარაკო, სასასტუმრო მეურნეობის საკითხებზე კანონების, დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე ინსტრუქციებისა და ბრძანებების პროექტთა შემუშავება და დადგენილი წესით ასეთის წარდგენა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) საბინაო ფონდის ექსპლოატაციისა და მშენებლობის საკონტროლო ციფრების, ნაკრები პერსპექტიული, წლიური და საკვარტალო გეგმების, აგრეთვე მშენებლობის სატიტულო სიების შედგენა;

4) საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის, აგრეთვე სახელმწიფო საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის დაფინანსებისა და ლაკრედიტების გეგმების შედგენა;

5) საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის საშენი მასალებითა და მოწყობილობით მომარაგების გეგმების შედგენა;

6) საბინაო ფონდის ინვენტარიზაციისათვის ხელმძღვანელობის გაწევა;

7) საბინაო მეურნეობის მდგომარეობის შესწავლა ადგილებზე და ამ მეურნეობის გაუმჯობესებისა და განვითარების ღონისძიებათა შემუშავება;

8) საბინაო ფონდის ექსპლოატაციისა და მშენებლობის, კერძოდ შრომისა და კადრების დარგში, ოპერატიული აღრიცხვის განხორციელება;

9) ტიპიური ხელშეკრულების, სანიმუშო ბიუჯეტების, აგრეთვე საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ სადგომთა ქირის ტარიფების დადგენის წესის შემუშავება;

10) არსებული საბინაო ფონდის კეთილმოწყობისა და რეკონსტრუქციის, აგრეთვე ახალი საბინაო მშენებლობის ხაზით საერთო დებულებებისა და დავალებების შემუშავება, მშრომელთა სოციალისტური კულტურისა და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებთან შეფარდებით, და ხელმძღვანელობის გაწევა საბინაო მეურნეობის ორგანოების მუშაობისათვის მობინადრეთა საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ხაზით;

11) საბინაო, სააგარაკო, სასასტუმრო მშენებლობის და ადმინისტრატიულ დაწესებულებებისათვის საჭირო შენობათა მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვა და დასკვნების მიცემა იმ მხრივ, თუ რამდენად შეეფერებიან ისინი მოცემული მშენებლობის ამოცანებს;

12) საბინაო, სააგარაკო, სასასტუმრო მშენებლობის და ადმინისტრატიულ დაწესებულებებისათვის საჭირო შენობების მშენებლობის, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო და სააგარაკო-სამშენებლო კოოპერაციის საქმიანობის რეგულირება;

13) დამთავრებული საბინაო, სააგარაკო, სასასტუმრო შენობებისა და ადმინისტრატიულ დაწესებულებათა შენობების მიღების და საექსპლოატაციოდ გადაცემის წესების შემუშავება;

14) სარემონტო სამუშაოებსა და საბინაო მეურნეობის გაძღოლისას შრომის გაჯანსაღების და უშიშროების ტექნიკის წესების შემუშავება;

15) ხელმძღვანელობის გაწევა საბინაო ფონდის მდგომარეობისა და გამოყენების ტექნიკური და სანიტარული ზედამხედველობისა და კონტროლისადმი, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის გამგებლობაში იმყოფება იგი, აგრეთვე სასასტუმრო ფონდის, არასაცხოვრებელი სადგომებისა და სააგარაკო მეურნეობის მდგომარეობისა და ექსპლოატაციისადმი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

16) საერთო ხელმძღვანელობის გაწევა იმ სანარდო-სარემონტო კანტორებისა და სახელოსნოების, სატრანსპორტო და მომმარაგებელი კანტორების და სახლების სარემონტოდ საჭირო საშენი მასალებისა და წვრილი მოწყობილობის დამამზადებელი და დამმუშავებელი დამხმარე საწარმოების მუშაობისადმი, რომლებიც მოეწყობა ადგილებზე საბინაო სამმართველოებთან.

III. საბინაო მეურნეობის მთავარ სამმართველოზე დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად, ეს უკანასკნელი ანხორციელებს საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის შესახებ გამოცემული კანონების, დადგენილებებისა და განკარგულებების ცხოვრებაში გატარების შესრულების ყოველდღიურ შემოწმებასა და კონტროლს, აგრეთვე ადგილებზე საბინაო სამმართველოთა ყოველდღიური მუშაობის შემოწმებასა და კონტროლს.

IV. საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველო თავის მუშაობას ატარებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთა საბინაო სამმართველოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილების, საქ. სსრ საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალურ განყოფილებათა საბინაო-სამმართველოების მეშვეობით, რომელთათვისაც საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ხაზით გამოცემული ბრძანებანი და ინსტრუქციები სავალდებულოა.

---

## 156. დადგენილება ც.ა.კ და ს.კ.ს.

**მუშურ-გლეხური მილიციის თავმდგომთა შედგენილობის იმ პირთა საბინაო ქირის განაკვეთების შესახებ, რომლებმაც სპეციალური სახელწოდება მიიღეს.**

სსრ კავშირის ცენტალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 20 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად „მუშურ-გლეხური მილიციის თავმდგომთა შედგენილობის იმ პირთა საბინაო ქირის განაკვეთების შესახებ, რომლებმაც სპეციალური სახელწოდება მიიღეს„ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 65, მუხ. 290)) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გავრცელდეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 27 დეკემბრის დადგენილება „მუშათა და გლეხთა წითელ არმიის საკადრო-საკომანდო და თავმდგომთა შედგენილობის, ზევადიანი სამსახურის საკადრო უმცროს საკომანდო და თავმდგომთა შედგენილობის და ზევადიანი სამსახურის საკადრო მერიგეთა შედგენილობისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კო-

მისარიატის სანაპირო და შინაგანი დაცვის სამხედრო მსახურთა საბინაო ქირის განაკვეთების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 2 მუხ. 16) მუშურ-გლეხური მილიციის თავმდგომთა შედგენილობის პირებზე, რომლებმაც სპეციალური სახელწოდება მიიღეს მუშურ-გლეხურ მილიციაში.

2. შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებანი 1 მუხლში აღნიშნულ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 27 დეკემბრის დადგენილებაში:

ა) პირველი მუხლის პირველი აბზაცი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„1. მუშურ-გლეხური წითელ არმიის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სანაპირო და შინაგანი დაცვის საკადრო-საკომანდო და თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურნი და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების და მუშურ-გლეხური მილიციის მთავარ სამმართველოს თავმდგომთა შედგენილობის პირები, რომლებმაც სპეციალური სახელწოდება მიიღეს, ბინის ქირას იხდიან შემდეგი განაკვეთებით".

ბ) მე-4 მუხლში „მუშურ-გლეხური მილიციის" სიტყვების შემდეგ ჩაემატოს სიტყვები „გარდა თავმდგომთა შედგენილობის იმ პირებისა რომლებმაც სპეციალური სახელწოდება მიიღეს:

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. დეკემბრის 7. № 1470/238.

თბილისი.

---

## ფინანსები

### 157. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სოფლის აღმასრულებლად ყოფნის უფლების არმქონე პირთა განსაკუთრებული გამოსაღების გაუქმებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.**

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 25 იანვრის დადგენილებისა № 128 „სოფლის აღმასრულებლად ყოფნის უფლების არმქონე პირთა განსაკუთრებული გამოსაღების გაუქმების შესახებ" სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუქმდეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 3 აპრილის დადგენილების პირველი მუხლის პუნქტი „ვ“ და კარი VII (26 და 27 მუხლები) „ადგილობრივ გადასახადებისა და გამოსაღებთა შესახებ“ —„სოფლის აღმასრულებლად ყოფნის უფლების არმქონე პირთა გამოსაღები“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 6, მუხ. 71; 1936 წ. № 13, მუხ. 73), აგრეთვე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 5 აპრილის დადგენილება № 202/421 „სოფლის აღმასრულებლად ყოფნის უფლების არმქონე პირთა განსაკუთრებული გამოსაღების გაუქმების შესახებ“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. ვ. ბუჯიაშვილი.

1937 წ. დეკემბრის 7. № 239/1471,
თბილისი.

---

ფასი 25 კაპ.

**გამომცემელი** საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1937 წ. № 41. პ/მ. რედაქტორი **ი. ფელეგია**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 3/I 1938 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად. 25/I ტირაჟი 2.000.

მთავლ. რწმ. № 112 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართ. სტამბა, თბილისი. დაკვ. № 8